

## მშვილდოსნობაში ოლიმპიადის ორი ლიხენია განაღებულა, სულ ჯერჯერობით ოთხი გვაქვს...

მსოფლიო მე-40 ჩემპიონატი მშვილდოსნობაში სიდნეის ოლიმპიადისათვის საგზურების მოპოვების პირველი ასპარეზობაა. ჩვენმა გოგონებმა მოსამზადებელი ეტაპი იმ ვარაუდით გაიარეს, რომ საფრანგეთის ქალაქ გიომში პირველსავე სალიცენზიო შეჯიბრებაში უნდა მიეღწიათ წარმატებისათვის. ახლა შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ამოცანა გადაწყვეტილია. ხათუნა ქვრივიშვილმა, რომელიც ამერიკიდან ჩამოვიდა ჩვენი გუნდის გასაძლიერებლად, ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა და სიდნეის საგზური გაინაღდა. მიუხედავად იმისა, რომ ხათუნა ფუტკარაძემ არასახარბიელო XX ადგილი დაიკავა, ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა სიდნეიში გამგზავრების უფლების მისაღებად.

ამრიგად, სადღეისოდ, მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზია უკვე ოთხ ჩვენს სპორტსმენს აქვს განაღებული. ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძეს და წყალში მხტომელ ნანა ნებერიძეს, ახლა მშვილდოსნები ხათუნა ქვრივიშვილი და ხათუნა ფუტკარაძე შეემატნენ.

სააგენტო „გზაში“



„ზიზგურუსთან“ შეხვედრაში ჩინებულად ითამაშა გიორგი კიკნაძემ. დინამოელთა გამარჯვებაში მან დიდი წვლილი შეიტანა

იხ. გვ-4-5 გვ.

## ჯემალ ცერცვაძე გადადგა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, წარსულში ცნობილმა ხელბურთელმა ჯემალ ცერცვაძემ „ლელოს“ რედაქციას აცნობა, რომ იგი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და 1 აგვისტოდან იხსნის აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას. განცხადებას გადადგომის შესახებ ჯემალ ცერცვაძე დღეს წარუდგინა სეოკ-ის აღმასკომს.

## წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი ვუშაქის წოდება მიანიჭა:

ლაზარენტი პატიაშვილს - საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს (კასპი)

ივანე ტარუნაშვილს - საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს (თბილისი)

სიმონ მაისურაძეს - ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს (თბილისი)

თედო კახიჯაძეს - მწვრთნელს ფარიკაობაში (ქუთაისი).

## გინა ჯაღელი - 60 წლიანი სპორტის



## ღია წერილი

თბილისის პეკს ბავონ ვანო ზოდელაძეს, გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

დიდი დიდების მოსახლეობა რამდენიმე წელია ველით დაპირებული ტროლეიბუსის ხაზის გაყვანას. ახლა, როცა თქვენი უშუალო მეცადინეობით სამუშაოების დამთავრებას ბევრი აღარ უკლია, გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ ამ დასახლებაში აუცილებელი არაა ტროლეიბუსის მოძრაობა.

ჩვენ ვიცით საიდან მოდის ეს ყველაფერი - მიკროავტობუსების მძღოლები და მათი მფარველები აქტიურობენ, ეშინიათ, შემოსავალი დააკლებათ, ჩვენს ინტერესებს, ცხადია, ისინი არაფრად დაგიდევენ. დიდების მასივში საავადმყოფოებთან, მიონის ტერიტორიაზე გაიხსნა შესანიშნავი სპორტული სკოლა „ოლიმპიკი“. დიდი დიდების ბევრი ბავშვი დადის იქ სავარჯიშოდ. ყოველდღე მიკროავტობუსით მგზავრობა ძვირი ჯდება, ტროლეიბუსის გაყვანას ამიტომ მოველით ასე მოუთმენლად.

ბატონო ვანო! ძალიან გთხოვთ, არ დათმით, ნუ გაგვიმტყუნებთ იმედს, ჩვენ თქვენს გვერდით ვართ. გვჯერა, რომ ტროლეიბუსის პირველ რეისს თქვენ შე მოუძღვებით ჩვენს დასახლებაში.

იმედია, „ლელო“ გამოაქვეყნებს ჩვენს თხოვნას.

სპორტსმენ მოზარდთა მშობლების სახელით: მ. ბაზაძე, ი. შონია, მ. კვიციანი, ლ. თოდუა, ნ. გომეზი, მ. ჯაგელიძე და სხვ. სულ 38 ხელმოწერა.

იხ. გვ-4 გვ.



პირველი გოლი კიზინიოვალთა ქარში

## თეთრაძე ფეხზე წამოდგა

ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, სერია A-ში მოასპარეზე რუსი ლეგიონერი ომარ თეთრაძე წარმატებით გადის სარეაბილიტაციო პერიოდს. წინა ორი სეზონი მან „რომაში“ კი გაატარა, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო სრულყოფილად ერთი სეზონიც ვერ ითამაშა და დაქალაქურ კლუბში მიუხედავად ამისა, „რომაში“ ხელმძღვანელობამ გულისხმირება გამოიჩინა მის მიმართ და ხელფასის გარდა, მკურნალობის საფასურის დიდი ნაწილიც ჩაუთვალა ერთ დროს თბილისის „დინამოს“. მერე კი მოსკოვის „დინამოს“, ვლადიკავკაზის „ალანის“ და რუსეთის ეროვნული ნაკრების მცველს, რომელსაც 13 ოქტომბერს 30 წელი შეუსრულდება.

ახლა, ომარ თეთრაძე „უდინეზეში“ ირიცხება და რამდენიმე დღის წინათ, საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომელიც სამოყვარულო გუნდის წინააღმდეგ. „უდინეზეს“ თავკაცმა ლუიჯი დე კანიომ თეთრაძე მეორე ტაიმიდან ჩართო თამაშში და კმაყოფილიც დარჩენილა მისით, როგორც ამას რუსული „სპორტ-ექსპრესი“ ირწმუნება.



**გრიელა კონფედერაციის თანხმობით უახლოესი**

## ინელია და ამბროლაურის პირველი ნიშნები

ონისა და ამბროლაურის რაიონების 120 მძღოლსანი მონაწილეობდა საქართველოს ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილ გარბენში ონში. უმცროსი ასაკის ვაჟებში პირველი და მეორე ადგილები შესაბამისად ამბროლაურელმა დათო რეხვიაშვილმა და ლადო ჯონაძემ დაიკავეს, მესამე იყო ონელი ბესო გოგრიტიანი. უფროსებში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. დიტო გუგუშაშვილი (ონი), 2. გიორგი მურუსიძე, 3. გია კაციტაძე (ორივე - ამბროლაური).

გოგონებს შორის კი ადგილები ასე განაწილდა: 1. თეონა მეშვილიშვილი (ონი), 2. ხათუნა ბოჭორიშვილი (ამბროლაური), 3. რუსუდან მაისურაძე (ონი).

ონის რაიონის გამგეობამ და სპორტკომიტეტმა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს გამარჯვებულები და პრიზიორები. მონაწილეებს კი სოკის სიგელები გადაეცათ.

რომან პირვალიძემ, სეოკ-ის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი - 18400 ლარი.













